



gazeTi gamodis  
1931 wl is 5 ianvrican

# კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება  
ფასი 20 თეთრი

## რაგაზ ნიკოლაიშვილი: „რაც დღეს ხალხმა ბანკრუტობა ნახა, სექტემბრისთვის რეალურად იქცევა“

მარი კოკოშვი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, რამაზ ნიკოლაიშვილმა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ნიკოლოზ ვაჩიშვილმა ოზურგეთის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივ საჯარო მოხელეებს და საზოგადოებას 30 მარტს წარუდგინეს. ასევე ისაუბრეს ოზურგეთის ცენტრალურ მოედანზე ასლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის, უძველესი აბანოსის ქალაქის მთავარ სანაპიროდ გადაქცევის გეგმებზე, რომელიც თავდაპირველად ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მშენებლებმა მოსახლეობას დაუმალეს.

მათი თქმით, ოზურგეთის ცენტრალური ნაწილის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერს, განახლება შენობების გარე ფასადები, „ჭადრების ბაღში“ მოწყობა კაფე. განხორციელდება რუსთაველის ქუჩის ტროტუარებისა და თეატრალური მოედნის სრული რეაბილიტაცია.

„უკვე დაგეგმილია ასალი აღმოჩენის დეტალური შესწავლა და მოხდება ძველი აბანოსის ზუსტი დათარიღება. თანამედროვე არქიტექტურული შენობების მშენებლობისას გამოვლინილი ისტორიული მემკვიდრეობა-მიწისქვეშა ძეგლები თუ არტეფაქტები სახელმწიფოს მიერ დაცული და შენარჩუნებული იქნება.“

უძველესი აბანოსი გადარჩენა კიდევ ერთი პროექტი იქნება, რომელიც ქვეყნის განვითარების პროცესში ახლადგამოვლენილი სიძველეების დაცვას და პოპულარიზაციას გულისხმობს.



## „ერთობლივ ბრძოლას ყოველთვის უძლეობი მოაქვს“

გაზეთი „ალიონი“



ქ. ოზურგეთში, ოუსტიციის სახლის მშენებლობისას, აღმოჩენილ უძველესი აბანოსის ნაგებობისათვის ბულდოზერით მიწის მიერის და აღმოჩენის მიუხედავად ფაქტზე მწვავე მასალები გამოქვეყნდა რეგიონის მედია-საშუალებებში და გურიის „თავისუფალი დემოკრატიის“ განცხადებებიც მოჰყვა. „ალიონის“ სტატია „რატომ გაიქცა ისტორიული მემკვიდრეობა?“ გაზეთ „ქართულ ოცნებაში“ დაიბეჭდა.

გუმბინ ოზურგეთის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაჩიშვილი სტუმრობდნენ. მათ ოზურგეთის სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად ოუსტიციის სახლთან აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი მოინახულეს, მიწისქვეშა ნაგებობის აღდგენის და „ოზურგეთის საეპიტოლ ბარათად“ გამოცხადების გეგმებზე ისაუბრეს. გურიის „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერმა თემურ სალუქვაძემ ამ თემაზე ჟურნალისტებთან გააკეთა განცხადება:

— ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატიის“ ვულკანო საზოგადოებას გამარჯვებისკენ გადადგომულ პირველ ნაბიჯებს. მიუხედავად ხელისუფლების დიდი მცდელობისა, დავამალეთ ჩვენს რაიონში ისტორიული ძეგლის აღმოჩენის ფაქტი, ისინი იბულებულნი გახდნენ გადავადგათ სწორი ნაბიჯები.

მინდა მადლობა ვუთხრა: „ალიონის“, „გურია ნიუსის“, „გურიის მოამბის“ ჟურნალისტებს, „თავისუფალი დემოკრატიის“ აქტივისტებს, რომლებმაც, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მოახერხეს და საამაყაროზე გამოიბრუნეს ოზურგეთის რაიონისათვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის ამსახველი ფაქტობრივი დამადასტურებელი მასალები. რომ არა მათი ძალისხმევა და პრინციპული პოზიცია, ხელისუფლება მზად იყო ბულდოზერებით მიწა მიეყარა ისტორიული ძეგლის ნაშთებს.

შევასწენებ საზოგადოებას, რომ პროცესის დაწყებისთანავე კომენტარების მიცემაზეც კი თავს იკავებდნენ შესაბამისი სამსახურები და ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილის დათვალიერებაც კი პრობლემატური იყო, მაგრამ ერთობლივ ბრძოლას ყოველთვის მოაქვს შედეგი და გუმბინდელი დღე ოზურგეთის რაიონში ზუსტად ამის დამადასტურებელია.

მადლობა უფალს, რომ ხელისუფლებამ მოუხმო გონიერებას და პროცესში სწორი მიმართულებით დაიწყო განვითარება.

მიმდინარე პროცესში ჩვენ ვხვდებით ერთ საშიშროებას, ეს არ იყოს ამ ხელისუფლებისათვის ჩვეული ერთგვარი პიარაქცია. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვთხოვ ჟურნალისტებს, ყველა პოლიტიკურ ძალასა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თავად საზოგადოებასაც, დიდი ყურადღებით მიახედონ თვალი ამ მიმართულებით გადადგომულ ყველა ნაბიჯს.

ჩვენ, დავპირდით მოსახლეობას და დავანახებთ კიდევ, თუ რამდენ რამეს გაგაკეთებინებთ ამ ხელისუფლებას ხალხის საკეთილდღეოდ არჩევნებამდეც კი, ხოლო არჩევნების შემდეგ, როცა ჩვენ მათ გავისტუმრებთ, დაიწყება თითოეული მოქალაქის ოცნების ახდენის პროცესი და ამ პროცესის თანამონაწილე გახდება თითოეული ჩვენგანი.

## სოფლის ამულატორიები „მედალფას“ გადაეცა

ამის შესახებ ჩვენ ამ „შეერთებით“ უკმაყოფილო ექიმებისაგან გავეცით. ისინი მათი ხელფასის გარშემო შექნილი პრობლემებით იყვნენ შეწუხებული.

— ამ შეერთების შესახებ გასულ ოთხშაბათს შევიტყვეთ. თავდაპირველად ძალიან რთული სიტუაცია იყო, საექიმო ამულატორიის თითოეულ ექიანს „მედალფას“ 80 ლარს აჭრიდა. — ჩვენ გვიბოლეს სოფლის ამულატორიები შემოგვეერთინა და ზომ უნდა დავგერჩეს რამე — ასე „ახსნა“ ეს ფაქტი „მედალფას“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა ვაგარაძემ. — ამის შესახებ „ალიონის“ სოფლის ერთი ამულატორის გამგე (მან კომპლექსურად დარჩენა ვეთხოვა) ესაუბრა. სოფლის ამულატორებში უზნის ექიმი და ექიანი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2009 წელს მეწარმე ორიდოულ პირად გააფორმეს ექმს 456 ლარი ექვლიდა თვეში, რომელშიც ხარჯებიც შედიოდა (ელექტროენერგია, გათბობა, მკვარობა, პირველადი მოხმარების მედიკამენტების ხარჯი), ხოლო ექიანი 240 ლარს იღებდა ხელზე გურიამი სოფლის 75 ამულატორი და თუკი „მედალფას“ ექიანს 80 ლარით შეუმცირებდა ხელფასს, საკმაო ციფრს მივიღებდით.

თავდაპირველად „მუნტი“ ლანჩხუთელმა მედიკამენტს დაიწყო და „მედალფას“ ხელმძღვანელებს განუცხადეს, რომ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდნენ. შემდეგ ამ პროცესში გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი ჩართო და პროცესი დარეგულირდა. პარასკევს „მედალფას“ და სოფლის ამულატორების თანამშრომლებს შორის ხელშეკრულებები გაფორმდა.

— ამ ეტაპზე ადგილობრივი ხელისუფლება ჩაერია დადებითად და ხელშეკრულებას ხელი მოაწერეთ, თუმცა ამ ხელშეკრულებაში ერთი არასასურველი პუნქტია, სადაც წერია, რომ „მედალფას“ შეუძლია ამ ხელშეკრულების ცალმხრივად შეცვლა. რა იქნება მომავალში არ ვიცი, მაგრამ წინ არჩევნება და არ მზინა მანამდე რამე შეცვალონ — ვითხრა მაკვანეთის ამულატორიის ექიმმა ბაბო ინჭკირველმა.

ის მათივე მუშაობის პირობებზე გვესაუბრა: — არც დახვეწა, არც ფასიანი შეგულება, მუშაობის განუსაზღვრელი დრო. პასუხისმგებლობა? — დიდი. ადამიანებს ძალიან უჭირთ, არ აქვთ საშუალება კლინიკას მიმართონ და სოფლის ექიმს უწევს ეს მომსახურება გასწვიოს. ხელზე თვეში 360 ლარს ვუღებლობთ, საიდანაც ნაწილი ხარჯებში მიდის. წელს დიდი ზამთარი იყო და საკმაოდ ხარვეი გავწიეთ გათბობაზე ექიანი ნინელი როყვა კვალიფიციური სპეციალისტია. ექიანზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შეიძლება ექიანი ხელფასი მოკლებულია? სოფლის ამულატორიას დიდი პასუხისმგებლობა და ნაკლები ყურადღება აქვს. დღერთმა ჰქნას, მღვთმარობა გამოისწორდეს.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +11+17 2 აპრილი ორშაბათი	წვიმა ღრუბელი +4+11 3 აპრილი სამშაბათი	მზე +12+15 4 აპრილი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +14+21 5 აპრილი ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი +15+22 6 აპრილი პარასკევი	მზე, ღრუბელი +14+21 7 აპრილი შაბათი	წვიმა +14+20 8 აპრილი კვირა
--	---	----------------------------------	---	---	--	--------------------------------



# „ახალი მემარჯვენეები“ გურიას

ნიკოლოზი



გურიას ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე და გურიის რეგიონის კოორდინატორი ლევან კლანდაძე სტუმრობდნენ. ისინი, პარტიის რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან: ნათია კრავიციანი, ავთანდილ სურგულაძესთან ერთად ოზურგეთის რამდენიმე სოფელს ეწვივნენ და იქაური მოსახლეობის ნაწილს შეხვდნენ. თავდაპირველად სოფელი ნასაკირალი მონახულეს და იქაურებს გაესაუბრნენ. შემდეგ თხინვალს, ზემო ნატანებსა და კონჭკათს ესტუმრნენ. პირველი კომენტარი სტუმრებმა ცუდი გზის გამო გააკეთეს და აღნიშნეს, რომ ასეთ გზებზე სიარული მართლაც ძალიან ძნელია, რასაც სხვა ბევრი პრობლემა ემატება.

**დავით გამყრელიძე:** — დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველას უჭირს, მაგრამ სოფლად ეს პრობლემები გაორმაგებულია. სოფლებში არ არის გზა, წყალი, გაზი, კინო, ახალ-გაზრდებს არ აქვთ ელემენტარული გართობის საშუალება. ჩვენ ვამბობთ, რომ სოფელი თუ არ გამართა, გლეხკაცი თუ არ გაძლიერდა, არც სოფელს ეშველება რაიმე და არც ქალაქს. კარგია, რომ ხელისუფლებამ ამ ბოლო დროს დაიწყო სოფელზე საუბარი, მაგრამ მართლ საუბარი არ კმარა. ამისთვის სწორი ნაბიჯებია გადასადგმელი.

დავით გამყრელიძის თქმით, ქვეყანას ძველების კეთება კი არა, ტრაქტორები სჭირდება, რათა სოფლის მოსახლეობამ შესძლოს ნაკვეთების დამუშავება, რასაც მოსახლეობის რეპლიკა მოჰყვა — სად გვაქვს სამყოფი მიწები, რომ დავამუშაოთ. სტუმარმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაყიდული მიწების მაგალითი მოიყვანა კახეთსა და სხვა რეგიონებში და აქაურებსაც შეახსენა, რომ მსგავსი რამ გამოიციხული აქაც არ არის. 20-30 ლარიან ვაუჩერების დარიგების ნაცვლად, გლეხებისათვის სასუქებისა და სხვა შხამქიმიკატების იაფად მიწოდება მიიჩნია სწორ ქმედებად. აღნიშნულ ქმედებას კი მხოლოდ წინასაარჩევნო პიარი უწოდა.

მანვე ხელისუფლების მხრიდან ზრუნვის საგნად მიიჩნია მოსახლეობის ჯანდაცვა, წამლებით უზრუნველყოფა.

## ოზურგეთის გერბის გარშემო მსჯელობა ბრძოლაში

ნიკოლოზი

ოზურგეთის გერბის შესაქმნელად წინა მოწვევის საკრებულომ გამოაცხადა კონკურსი და იგი სამი წელია გრძელდება. ამ ხნის მანძილზე არაერთი ესკიზი განიხილეს.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა განაცხადა, ამჟამად საქართველოში 13 მუნიციპალიტეტია დარჩენილი, სადაც გერბი არ მიუღიათ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბის შექმნისას არის მოთხოვნა, რომ გერბზე უნდა იყოს თამარის ჯვარი, სვეტი, ვაზი, მთა და ზღვა.

მექვაბიშვილმა ასევე თქვა, რომ თურქულმა ექსპანსიამ გენეტიკური განადგურების საფრთხე შექმნა. ამიტომ მეტად უნდა გაუფრთხილდეთ იმას, რაც ჩვენმა წინაპრებმა დავითოვით. ცოტა ხანში გურულებს აღარც „ჩაქურა“ გვექნება, აღარც „ჩხავერი“ და აღარც საცივი. ტურიზმში მეზობელ რეგიონში უკეთ ვითარდება და ცდილობენ ისინი ადგილობრივ „ბრენდს“ წარუდგინონ უცხოელ ტურისტებს. ჩვენთან კი აჭის ეკლესიაში უნიკალური ფრესკები ცუდ მდგომარეობაშია, სადაც 12 ბიბლიური სცენაა დღემდე შემორჩენილი.

გერბის პროექტების განხილვისას რამდენიმე პროექტზე გამახვილდა ყურადღება. აღინიშნა მხატვარ თამაზ



დარჩიას, თამაზ ლომჯარას, საყვალა სალუქაძის, ვასილ მჭავანაძის, ავთანდილ თავართქილაძის, ვია დარჩიას, ირაკლი ზოიძის ვაჟა სადრაძის, გოგა ტრაპაიძის, გურამ ბერძენიშვილის და კიდევ რამდენიმე ავტორის ნამუშევარი.

ამ ეტაპზე გრძელდება გერბების პროექტებზე მუშაობა. საბოლოოდ შეირჩევა 10 ნამუშევარი, რომლებიც განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ოზურგეთის მოსახლეობას საშუალება მიეცემათ უშუალოდ ჩაერთონ სასურველი ნიმუშის შერჩევაში.

„კარგია, რომ ახალი კლინიკები შენდება, მაგრამ იქ აღამიანები ვერ მიდიან, რადგან ექიმთან უბრალო ვიზიტს კი ძალიან ძვირი უჯდება ხალხს. აღამიანები თავიანთი ჯიბით ვერ შეძლებენ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვას.“

მასპინძლები პრობლემების ჩამონათვალს მათთვის ჩვეულ იუმორსაც მიაყოლებდნენ ხოლმე. —,თავგატეხილი გურული ახალ საავადმყოფოში მივიყვანეს, შესასვლელში 30 ლარი მოსთხოვეს. გაბრაზებულმა სხაპასხუპით მიყვარა, სად მაქვს, მაგი ფული რომ მქონოდა, მევალებს მივცემდი და თავს არ გამიტეხდაო.“

ერთი და იგივე გახლდათ ოთხივე სოფლის მოსახლეობის თავდაპირველი კომენტარი. ჩვენსავით გაჭირვებულ მდგომარეობაში არავინ არის, ჩვენი სოფლისკენ არავინ იხედება, არავის ვახსოვართ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა კონკრეტულ პრობლემებზე საუბარი. საუბარი, რომლის მოსმენაც არ იყო ადვილი.

ნასაკირალელებს უგზობობა, უწყობობა, უშუქობა, სკოლის პრობლემები აწუხებთ ძალიან. ასევე მტკივნეულია მათთვის უმუშევრობა. აღნიშნეს კიდევ: — მალე მოხუცებისა და ბავშვების მეტს ვერ ნახავთ სოფელში. ყველა თურქეთში გაიკრიფება ჩაის საკრეფად. იქ მონური მუშაობა გვიწევს. ადრინდელი დამონება გვეყოფა მათგან. ახლა რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ თურქების მონები. სკოლა გვეგრევე. არადა 500-მდე ბავშვი სწავლობს ჩვენთან.

თხინვალელებმა უგზობობის და უშუქობის პრობლემასთან ერთად, საგანგაშო საშუალებებზეც გაამახვილეს ყურადღება. ქანა დოლო სირაქემ ერთ-ერთ პრობლემად შიში დაასახელა და აღნიშნა, რომ შეხვედრებზე გაცილებით მეტი აღამიანი მივიდოდა, რომ არ ემონოდეთ. ამ დროს სოფლის გამგებელმა ჩამოიარა მანქანით. ყურადღებით შეათვალიერა შეკრებილები და გზას გაუყვა. მალევე შეაჩერა მანქანა და შეკრების ადგილისკენ მიმავალს გაესაუბრა. ის ფორა (ყარამან) ხურციძე აღმოჩნდა. მან „ალიონთან“ საუბრისას აღნიშნა: —,გამგებელს ვაუჩერის შესახებ ვკითხე. აქამდე ხომ მოგეცით, აწი სხვა მოგეცემო, მიპასუხა.“

ზემო ნატანებისა და კონჭკათის მოსახლეობამ უგზობობის, უშუქობის, უმუშევრობის... პრობლემებთან ერთად ციტრუსის გაყიდვის, ამერიკული პეპელას პრობლემები დაასახელეს. ზემო ნატანებში შეკრებილებს სკოლიდან მომავალი მოსწავლეები გაუსწორდნენ. ერთ-ერთი ბავშვმა მორიდებით მოვიდა, ხმადაბლა იკითხა, — შეიძლება სტადიონი აგვიშენონ? სტუმრებთან უფროსებმა გაახმოვანეს მისი თხოვნა. ამ ნათქვამმა ნასაკირალის სტადიონი გამახსენა, რომელიც საცურაო აუზს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთის სტადიონს.

კონჭკათელებმა შეკითხვა დაუსვეს მემარჯვენეების ლიდერს: — რა მანსები გვაქვს, გვეშველება რაზე?

პასუხიც საკმაოდ მოკლე მიიღეს. —თუ აღამიანები 20-30 ლარიან ფქვილში არ გაცვლის თავის ხმას, გვეშველება და ერთი კაცის გადასწვევტი არ იქნება ქვეყნის ბედი.

## ოზურგეთში „დედამიწის საათს“ გამოცემა

მარი კოპოიძე

ოზურგეთის ახალგაზრდული რესურსცენტრის ინიციატივით ოზურგეთელი ბავშვები „დედამიწის საათს“ გამოეხმაურნენ, რომელიც მსოფლიოში ყოველი წლის მარტის ბოლო შაბათს აღინიშნება. აქცია, კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის თემაზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტარდება. აქციის ფარგლებში მსოფლიოს ასობით ქვეყანაში ერთი საათით ითიშება ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის ძეგლებისა და შენობების ელექტრო განათება.

სწორედ ამ აქციას შეეხმებოდა ერთი დღით ადრე ოზურგეთელი ბავშვები, სამოქალაქო განათლებისა და ფარდგოთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის საჯარო სკოლებში ჩამოყალიბებული საინიციატივო ჯგუფების ინიციატივით. 30 მარტს აქცია-მსვლელობა ენერ-



გორესურსების დაზოგვის პოპულარიზაციის მიზნით გამართა. ჭადრების ბაღში ბავშვები საინფორმაციო ბუკლეტებს არიგებდნენ. სამხატვრო სკოლის მოსწავლეები კი თემის შესაფერის ნახატებს დაინტერესებული გამველელების თანდასწრებით ხატავდნენ.

საღამოს 20:30 წუთზე, ქ. ოზურგეთში, ისევე როგორც ყველგან, ერთი საათით გამოირთო მუნიციპალური შენობების, კულტურული ობიექტების, ქუჩის გარე განათებები. აქციაში მოსახლეობაც ჩაერთო.

## სემინარი სოფლის მეურნეობის საკითხებზე

საქართველოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრმა“ ფერმერებისათვის სემინარი ჩატარა თემაზე: „ერწლიანი და მრავალწლიანი ნერგების წარმოება და განვითარების პერსპექტივა“.

როგორც (ა)იპ-ის ხელმძღვანელმა გიგა ხარაბაძემ აღნიშნა, სემინარი ხელს შეუწყობს ფერმერებს მიიღონ კვალიფიციური კონსულტაცია და დახმარება. მათ გამოუყვეს საკოლექციო ნაკვეთი დეკაზუს ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე და იქ გურული ვაზის უნიკალურ ჯიშებს გამოიყვანენ.

ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა ასოციაცია „გურული ვაზის“ პრეზიდენტმა ანდრო ვაშალომიძემ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატის აკაკი ღლონტის



თემა პერსპექტიული ხილის ნერგების შერჩევა და ელიტარული სადედეების მოძიება იყო, (მანვე მოზამთრე ერთწლიანი კულტურების წარმოების თავისებურებებზე ისაუბრა), ხოლო ფერმერმა დავით თენიეშვილმა კვიის სადედე პლანტაციების მოწყობაზე და კალმით გამრავლების წესებზე ისაუბრა.

კვიის საძირების გამოყვანისა და მცნობის თავისებურებებზე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა შოთა ჟღენტამ ისაუბრა.

## „მეტიდამ“ მორიგი შეჯიბრი გამართა

ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური კლუბი „მეტიდა“ აგრძელებს ინტელექტუალურ თამაშს რა? სად? როდის? სკოლებს შორის.

ამჯერად ცხემლის საჯარო სკოლის გუნდის შეკითხვებზე ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ინტელექტუალთა გუნდს უნდა ეპასუხა. (ყოურის თავმჯდომარე ლელა კოსტავა).

ინტელექტუალურ თამაშს წამყვანი ნინო ბურჭულაძე უძღვებოდა. ინტელექტუალურ თამაშს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამუშვილი და გამგებ-



ლი ილია ვაშაყმაძე ესწრებოდნენ. საკრებულოს თავმჯდომარე უშუალოდ თამაშშიც მიიღო მონაწილეობა და შეკითხვაც დასვა.

დამატებულ ჭიდილში მცირე უპირატესობით (6:5) ცხემლისხიდის სკოლამ გაიმარჯვა.





ოცდაათი წელი სენაჴი

ოზურეთის დრამატულ თეატრში მსახიობ ვერიკო ხუხუნაშვილის საიუბილეო საღამო გაიმართა...



მასალას საღამოს შესახებ მომღვწევი ნომერში შემოგთავაზებთ

მსახიობს მნიშვნელოვანი თარიღები მიულოცეს საერე ბულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილმა...

გურიის რეგიონალური გუნდური პირველობა ჟადრაკში

გუმნ, ოზურეთის საჯარო კლუბში გაიმართა გურიის რეგიონალური გუნდური ჩემპიონატი ჟადრაკში...



მასში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის, ჩონატაურის, ოზურეთის მუნიციპალიტეტების რჩეული მოჭადრაკეები...

შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდა. (მსაჯი ანზორ ქუტიტი). როგორც გურიის ჟადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდლუღაძემ აღნიშნა...

პირველ და მეორე დაფაზე საუკეთესონი იყვნენ ჩონატაურელები, გურიის მოქმედი ჩემპიონი გივი ქორიძე და კონარული ექიმი, ოსტატობის კანდიდატი ზეინაბ ზველეიძე.

საბოლოოდ პირველ ადგილზე ლანჩხუთელები გავიდნენ.

II ადგილზე-ჩონატაურელები, ხოლო მასპინძლები მეცამე ადგილს დასჯერდნენ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ გარდასავალი თასით...

„მერცხალის“ დამარცხების სერია ბრძოლდება

29 მარტს, ოზურეთის „მერცხალი“ III ტურის გამოტოვებულ მატჩში სახერის „ჩიხურას“ შეხვდა. ზემო იმერეთის წარმომადგენლები აჯერადაც კარგად გაისარჯნენ...

რაც შეეხება „მერცხალს“, გურიის მთავარი კლასის გუნდი მიეგია წაგებებს. გულშემოტკივრები ხშირად სვამენ შეკითხვებს...

გულშემოტკივრებს ყოველთვის მოეგება უნდათ, მაგრამ ხან ფორტუნა არ წყალობს „მერცხალს“ ხან რა.

ვერ ვიტყვით გურულებმა ცუდად ითამაშეს იმერლებთან, მაგრამ ფაქტი სახეზეა- კვლავ წაგება. (ზვიადხედიან ბერიძე)

თავდაპირველად ლანჩხუთელთა „გამამწარებელმა“ დავით კირკიტაძემ ორი სახიფათო რედი განახორციელა მასპინძელთა კართან.


ინციდენტი სენაკში

სენაკში გაიმართა დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების მატჩი რაგბიში ოზურეთის „არწივებს“ და სენაკის „ჯიხას“ შორის.

ორთავე გუნდის რაგბისტებს შორის. ამას მყურებლის შევარდნა მოჰყვა მინდორზე და 50 გულშემოტკივარი დაესია „არწივების“ რაგბისტებს.

ამ ფაქტმა აღშფოთება გამოიწვია, როგორც მატჩის კომისრის, ისე რაგბის ფედერაციისა. „ჯიხას“ საქციელზე რაგბის ფედერაცია იმსჯელებს და საგარაუდოდ 5000 ლარით დაჯარიმდება.

ზვიად უნგაძის ინიციატივით ოზურეთში გოგონათა გუნდი შეიქმნა (მწვრთნელი გელა ფირცხალავა)



უყვარდა გურია, რადგან ფესვები აქაურბასთან აკავშირებდა. 1995 წელს მშობლიური ლანჩხუთის რაიონის გამგებლად დანიშნეს.

ასლახან გარდაიცვალა კარლო გუგაბიძე-საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში 1998-2003 წლებში.

რეგობას ყოველთვის თვალს უსწორებდა. როდესაც 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, მან საღად შეუფასა ოგი და გადადგა:

„საქართველოში მომხდარი პროცესების შეფასება ჩემი მხრივ ცოტა როული იქნება, მაგრამ ელემენტარულად გეტყვით იმას, რომ სამწუხაროდ, ფედერალურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება...

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

ირაკლი (ირა) სალუქვაძის მონატრება

მძიმე იყო. ამ დღის მოსვლა უშეზღვევად, შენ ხომ უსაზღვროდ ვისაროდა დაბადების დღე, მეგობრებთან ერთად ჩამოვლომა და „ჭუჭუნი“, როგორც შენ იტყვიდი ხოლმე.



7 აპრილს აღესრულე ამ ქვეყნის საბრძანებლიდან. გავდა ტკივილიანი ერთი წელი. ძალიან გვაკლინარ, გვენატრები, გვენანები.

ვარელი დედამიწის-მარამის გარდაცვალებიდან 10 წელია.

უახლოესი მეგობრები კლარა გურგენიძე, ელიკო ბურჭულაძე, როზა გოგუაძე, ნაილი გრძელიძე, მერი მამულაიშვილი, მაყვალა ჭვინგიძე თეატრული თანაურგანობენ გაია ხაჭაპურიძეს დედის ტაშარ თორთლაძე - ხაჭაპურიძის გარდაცვალების გამო.

მეუღლე მანანა პოლქვაძე.

უახლოესი მეგობრები როზა გოგუაძე, ნანი სალუქვაძე, გულსუნდა მასარაძე, მარინა ტაბიძე, იამზე კიდურაძე, ლელა დვალისხილი თანაურგანობენ თალიკო თავბერიძეს უსაყვარლესი ძმის ბიჭიკო თავბერიძის გარდაცვალების გამო.

იყიდება კომპიუტერი „ჰენტით 4“ (კარბ მდომარეობაში) დაგვიკავშირდით: (598) 84 84 82

სასკორტო სკოლის პირველობაში

ჩატარდა ოზურეთის სასკორტო სკოლის პირველობა ძალისხნობაში 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის. 40, 65, 77, 85 კგ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ ლევან კობლაძე, მამუკა ბაქანიძე, სერგო ხანჩალიანი, ლამა კობლაძე.



გუნდი ამჟამად საქართველოს პირველობისათვის ემზადება.(მწვრთნელი